მიუხედავად სუნთქვის უგმარობის გამომწვევი მიზეზისა და კლინიკური გამოვლინებისა, ტაქტიკა რომელსაც მიმართავს სამედიცინო დახმარების აღმოჩენი პირი (იქნება ეს სან-ინსტრუქტორი, პარამედიკისი, ფელდშერი, ექიმი თუ ნებისმიერი სხვა პიროვნება) უნდა იყოს ერთნაირი, თანმიმდევრული და უნიფიცირებული.

სუნთქვის უგმარობის ლიკვიდაციის სქემა (სუნთქვის ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება) მიმართული ლონისძებებია

I. პაერგამტარი გზების მთლიანობისა და გამტარობის შემოწმება და აღდგენა

II. ხელოვნური სუნთქვა (ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია)

III. მედიკამენტური მკურნალობა

I. პაერგამტარი გზების მთლიანობისა და გამტარობის დარღვევის მიზეზებია

- ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა;
- პნევმოთორაქსი, პემოთორაქსი, პნევმოპემოთორაქსი;
- გამტარობის შეფვრხება:
 - უცხო სხეულები (მყარი, თხევადი, გაზოვანი);
 - ბრონქოსპაზმი;
 - ზეწოლითი მდგომარეობა.

მიზეზების მიუხედავად, სასუნთქი გზების ოკლუზია (დახშობა) შესაძლებელია იყოს ნაწილობრივი ან სრული.

სრული დახშობის ნიშანია პაერის ნაკადის ვერ შესვლა გარედან ფილტვებისკენ. დაჭრილი (დაზიანებული) ცდილობს ჩასუნთქვას, ჩაზექილია ლავიწქვეშა და ნეკნაშორისის სივრცეები, ხშირად გამოხატულია კილურების უწესრიგო მოძრაობანი და როგორც წესი ამ დროს დაზიანებული ვერ ლაპარაკობს. თუ დაჭრილი უგონოდაა და სუნთქვა არ ვლინდება (ანონ), მაშინ პაერგამტარი გზების (ზემო სასუნთქი გზების) დახშობის ხარისხის დასაღენად საჭიროა ფილტვებისკენ (ცხვირიდან ან პირიდან) რამდენიმე ჩაბერება და პაერის ვერ გატარება - სრული დახშობის მაჩვენებელი იქნება.

არასრული დახშობის ნიშებია ჩასუნთქვისას პაერის ნაკადის ხმაურით ჩასვლა ქვედა სასუნთქ გზებში, ამავდროულად ჩაზექილია ლავიწქვეშა და ნეკნაშორისის სივრცეები. ხასურიანი სუნთქვით დაახლოებით შეიძლება დაბრკოლების სახეზე მსჯელობა - სტევნა მიუთითებს დაბრკოლების (უცხო სხეულის) ტრაქეის ან ბრონქის სანათურში ლოკალიზაციაზე, ხოლო ხრიალის დროს საფიქრებელია რომ ენის ძირი უკან და დრმად გადავარდნილია.

სასუნთქი გზების გამტარობის შემოწმება - ადდგნისთვის აუცილებელია სწრაფად და დროულად, ასევე გარკვეული თანმიმდევრობით (პირადი გამოგონებლობის გარეშე და თანმიმდევრობის აუცილებელი დაცვით) ჩატარდეს შემდგვი მანიპულაციები:

1. ორგანიზმი უნდა დავაწვინოთ ზურგზე მქარ ზედაპირზე;
 2. თავი უნდა გადავუწიოთ უკან, გაგუდოთ პირი, გადავკეტოთ ცხვირი და 3-ჯერ ძლიერად ჩავეროოთ პირში ჰერმეტულობის დაცვით;
 3. თუ გულმკერდი არ გაფართოვდა (ე.ი. არ განხორციელდა ჩასუნთქის აქტი), ქვედა ყბა უნდა წამოწიოთ წინ, მაქსიმალურად გაგუდოთ პირი (ხელით ან პირის გამდებით), ამოგწიოთ ენა (თითებით ან ენის დამჭერით) და დაგუფიქსიროთ (დავუმაგროთ) გერრდზე ან ისეთ პოზიციაში, რომ არ დააბრკოლოს პაერის ნაკადის გატარება;
 4. ამოგასუფთავოთ პირის დრუ, ცხვირ-ხახა (ზემო სასუნთქი გზები) რაც შეიძლება დრმად და სწრაფად გავანთვაისუფლოთ უცხო სხეულებისგან და ნივთიერებებისგან (სისხლი, ნახევლი, ლორწო, თავზურგბრენის სითხე, პირანგები მასები, წყალი, და სხვა) საეციალური საქათო ან მის გარეშე - გამპონით. მყარი უცხო სხეულის ამოსახველებლად დასაშვებია (თუ გულმკერდის ტრავმული დაზიანება არ არის) გულმკერდზე ხელის მოჭერისას ზურგში, ბეჭებშეუ 3-ჯერ ძლიერი დარტყმა; გარკვეულ დადებით უვექტს იძლევა დაზიანებულის გერრდით პოზიციაში დაწვენა.
 5. განმეორებით ჩაეტეროთ 3-ჯერ პირში და დავაკვირდეთ მოხდება თუ არა ჩასუნთქება. (დაჭრილ-დაზიანებულთა უმეტესობა ამ ეტაპიდან იწყებს დამოუკიდებელ სუნთქვას);
 6. ჩავდგათ პაერგამტარი მილი და დავიწყოთ ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის ჩატარება.
- ამ ეტაპიდან უკან გასათვალისწინებელია მანიპულაციების ჩამტარებელი პიროვნების კვალიფიცია და სამედიცინო აღჭურვის დონე. თუ შესაძლებელია უმჯობესია განხორციელდეს ტრაქეის ინტუბაცია და მართვითი სუნთქვის აპარატურის გამოყენება.

თუ ვერ ხერხდება ზემო სასუნთქი გაზების გამტარუნარიანობის აღდგენი და ტრაქეის ინტებაცია, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს **კრიკოთირებულქციის მეთოდი** შემდგომი **კრიკოთირებულშემთხვეობით** კრიკოთირებულქცია და კრიკოთირებულშემთხვეობით ითვლება სუნთქვის აღდგენის ერთ-ერთ უკიდურეს საშუალებად.

მოძებნეთ კრიკოთირებიდული მემბრანა – რბილი სმაკუთხა ფორმის არე ფარისებრ და ბეჭდისებრ ხრტილებს შორის. დამტეშავეთ შერჩეული საპუნქციო არე ნებისმიერი ანტისეპტიკური ხსნარით. 20 ან 10 მილილიტრიანი შპრიცეჟ დამაგრეთ მაქსიმალური დიამეტრის ინტრავენური ჰუნქციის კათეტერიანი ნების. ნიკაბის მხრიდან 45 - 50 გრადუსიანი დახრის კუთხით მოახდინეთ კრიკოთირებიდული მემბრანის ჰუნქცია და ნების შემდგომ წინსვლამდე შპრიცში შექმენით უარყოფითი წნევა. ამოძრავეთ ნემსი ტრაქეის მიმართულებით და როგორც კი შპრიცში შევა ჰაერი (დაუშის მისებდეთ იგრძნობით) შეაჩერეთ ნემსის წინსვლა. კათეტერი ჩააცურეთ ნემსიდან და შეამოწმეთ კათეტერის ტრაქეაში დგომის კორექტულობა (ისმის სპეციფიური მსტვინავი ხმა და ნემსის ბოლოში ჩაბერვით ხორციელდება სასუნთქვის აქტი).

კრიკოთირებულქციით ტრაქეაში ნემსის კათეტერის ჩადგმა უხსირესად ვერ უზრუნველყოფს აღექვატურ ვენტილაციას, რის გამოც მიმართავენ კრიკოთირებულშემთხვეობისას და ამ გზით ტრაქეაში სათანადო ზომის მიღის. შეგანას.

სკალპელით ფრთხილად უნდა მოხდეს ნემსიდან 0.3 - 0.5 სანტიმეტრით ვერტიკალური ჭრილობის დადება და ხრტილების ვიზუალური კონტროლით მემბრანის გაკვეთა, რაც საშუალებას მოქცევეს ტრაქეაში შევივებანოთ 4 - 5 ზომის საინტეუაციო მიღის. მიღის სწორად ჩადგმის შემდგომ ხდება მუცეტის გაბერვა, მიღის ფიქსაცია და ჭრილობის დამტეშავება. მიღის მუცეტის სათანადო გაბერვა სრულ ჰერმეტიზმს ქმნის და ფილტვების აღექვატური ვენტილაციის საშუალებას იძლევა.

არსებობს კრიკოთუნქციის ნაკრები, რომელიც მნიშვნელოვნად აითლებს ტრაქეაში დამაკმაყოფილებელი დამეტრის სპეციალური მიღის ჩადგმას.

თუ დაჭრილი (დაზიანებული) უგონო მდგომარეობაშია, მაგრამ სუნთქვას, საჭიროა მისი დაწვენა სტაბილურად გვერდით პოზიციაში სუნთქვის მოსალოდნებლი დათორიუნგის და სხვა გართულებების პროფილაქტიკის მიზნით.

ჰერგამტარი გზების გამტარუნარიანობის აღდგენის შემდგომი ღონისძიებაა ხელოვნური სუნთქვა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს შესაბამისი აპარატურის გამოყენებით ან მის გარეშეც.

III. ხელოვნური ვენტილაციის ყველაზე მარტივი მეთოდია „პირით-პირში“ ან „პირით-ცხვირში“. უპირატესობა ენიჭება „პირით-პირში“ მეთოდს, რდგნაც საკმაოდ ხშირია ცხვირის ღრუში დამტბრკოლებელი ფაქტორების არსებობა - პოლიაცები, ცხვირის ძგიდის გამრუდება, ლორწოვანის შეშუავება და სხვა. პირით-პირში სუნთქვის საფუძველია ის გარემოება, რომ ამოსუნთქული ჰაერი შეიცავს 16-18% ჟანგბადს, რაც საკმარისია დაზიანებულის ორგანიზმში ძირითად სასიცოცხლო ფუნქციათა **დროებით შესანარჩუნებლად.**

დაზიანებულის ვუდგებით თავის მხრიდან მუხლებზე, ერთი ხელით ვიჰერთ (ვაფიქსირებო) შუბლს ან კისერს, მეორე ხელის ორი თითოთ ვპეტავთ ცხვირს. ღრმად ჩავისუნთქვათ და ასევე ღრმად ამოვისუნთქავთ პირიდან დაზიანებულის პირში (ან ჰაერგამტარ მიღში) ჰერმეტულობის

მაქსიმალური დაცვით. ამაგდროულად ვაკვირდებით გულმეტრდს და ჩასუნთქვის აქტის შემდგომ გელოდებით პასიურ ამოსუნთქვას, რის შემდგაც ციკლს ვიმეორებთ წუთში 18-20-ჯერ.

ბაგჟეზე ხელოვნური სუნთქვის ჩატარების შემთხვევაში ციკლურობა (ჩასუნთქვათა სისხირე) უნდა გაიზარდოს 22-26-მდე.

არსებობს სხვადასხვა სირთულის ხელოვნური სუნთქვის აპარატები და შესაბამისად მათგან ჩატარებული ხელოვნური სუნთქვა ხასიათდება ხარისხის შესაბამისი ეფექტურობით. კელაბაზე მარტივი მათ შორის არის ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის ხელით სამართავი აპარატი ეწ. „ამბუს პარკი“. მისი მუშაობის პრინციპი ძლიერ მარტივია, მაგრამ უზრუნველყოფს პაციენტისთვის საკმარისი მოცულობით პაერის და უანგბადის მიწოდებას, თუმცა შეუძლებელია ჩასუნთქვის მოცულობისა და უანგბადის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა. ამბუს პარკით მართვითი სუნთქვის ჩატარება შეიძლება ნიღბით და საინტუბაციო ან ტრაქეოსტომული მიღიდან. ჩასუნთქვის აქტი ხორციელდება პარკზე რიგმულად ხელის მოჭერით.

არსებობს ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის პორტატული პრემიატური აგრძატური აპარატები, რომლებიც ჩასუნთქვის აქტს ახორციელებენ ციკლურად, სამართავად იოლია, შესაძლებელია უანგბადის ინჰალაცია. მუშაობის პრინციპი (ჩასუნთქვის ეფექტი) ემყარება აპარატის მუშა კამერასა და პაციენტის სასუნთქ გზებში წნევათი სხვაობას. უნდა აღინიშნოს, რომ პრემიატური აპარატით ხელოვნური სუნთქვის ჩატარებისას უმნიშვნელოვანები მომენტია სისხეების „სასუნთქი გზები - აპარატი“ ჰერმეტულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნური სუნთქვა არაეფექტური იქნება.

იშვიათად, მაგრამ პრეცესპიტულურ ეტაპზე გახვდება ელექტრონული მართვითი სუნთქვის აპარატები, რომლებიც მართვით სუნთქვას სრულყოფილად ახორციელებენ საინტუბაციო ან ტრაქეოსტომული მიღის დაგომის პირობებში და უზნუნველყოფების თითქმის ადექვატურ ვენტილაციას, აწარმოებენ რა სუნთქვის ფუნქციის მონიტორინგსაც კი, მაგრამ ასეთ აპარატთან მუშაობა მოითხოვს პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას.

სუნთქვის უმარობის ორი მნიშვნელოვანი ასპექტი - ნეკნების მოტეხილობა და პლევრის დაზიანებანი - ექვემდებარებიან ქირურგიულ მიღომას, რომელიც გულისხმობის მითბილიზაციას და პნევმოთორაქსის შესაბამის მკურნალობას.

III. სუნთქვის უმარობის მეურნალობის მესამე ტიპი - მედიკამენტური მკურნალობა - მოიცავს სხვადასხვა სამკურნალწამლო საშუალებების პერორალურ მიწოდებას, ინტრამუსკულარულ და ინტრავენურ შეევანას. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სუნთქვის ცენტრის სტიმულაციონები არ წარმოადგენენ ეტომოტოკული მეურნალობის საშუალებებს, არ ახდენენ სუნთქვის დამრთვუნველი ფაქტორების ლიკვიდაციას. აქედან გამომდინარე, სუნთქვით ანალეპტიდების გამოყენება უნდა მოხდეს უკიდურესი აუცილებლობის პროტექტორით. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხასიათდება ხანმოკლე მიქმედებით და მხოლოდ და შხელოდ დროის მოგების მიზნითაა გამართლებული ამ პრეპარატების გამოყენება. შეიძლება გამოყენებული იქნას ბემეტიდი, ქაფური, სულფოგამფოგანინი, კორდიამინი, ლობეტინი, ციტიტონი, ეთომიზოლი, კოფეინი.

სისხლის მომრიცხვის აღდგენა-შენარჩუნება გულისხმობს გულის მუშაობის და სისხლის მიმოქცევის კონტროლს და აღდექატურ ღონიერებულ არა, დასაშვებ ფარგლებში, მისი შენარჩუნებისაკენ მიმართულ კომპლექსური ღონისხმიერების ჩატარებას.

საომარი მოქმედებების და გატახტოფის კერაში დაჭრილთა და დაზიანებულთა კონტინგენტში სისხლის მიმოქცევის დარღვევების მიზეზების:

- სისხლის დაკარგვა (არაკომპენსირებული);
- ორგანიზმის მხრიდან მკეთრად გამოხატული ნეიროჰიმორული რეაქცია დაზიანებასა და გარემო პირობებზე;
- გულის შეკუმშვის ძალის დაქვეითება და სისხლძარღვთა პარეზი (თავის მხრივ განპირობებული ჰიპოექსით, აციდოზით, ებზოგენური და ენდოგენური ინტრიკაციით);
- გულში გნური სისხლის უკუმოდინების შემცირება (გამოწვეული ლია და დახურული პნევმოთორაქსით, პემოთორაქსით, პერიკარდიუმის ტანკონადით და სხვა);
- ცენტრალური ნერვული რეგულაციის მოშლა (უხშირესად ქალა-ტვინის ტრამვით);
- კომბინირებული მიზეზები;

გულის მუშაობის მწვავე მოშლის უკიდურესი გამოვლინებანია:

1. ასისტოლია
2. პარკეტო ფიბრილაცია
3. არაგვეტბური გული

ასისტოლია გულის მუშაობის სრული შეწყვეტაა. იგი ვითარდება უეცრად ან თანდათანობით.

ფიბრილაცია გულის შეკუმშვების აქტის მოშლაა, რომლის დროსაც გამოხატულია გულის კუნთოვანი ბოჭკოების არაკოორდინირებული შეკუმშვები.

არაგვეტბური გულის დროს გულის ელექტრული აქტივობა და კუმშვადება შენარჩუნებულია, მაგრამ არ ხდება გულიდან სისხლის გადასროლა. ამ მოქნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია ცირკულაციაში არსებული სისხლის დიდი დეფიციტი.

უნდა ჩავთვალოთ, რომ სამივე შემთხვევაში, პრაქტიკულად საქმე გვაქს გულის განერებასთან, რამეთუ არ სრულდება გულის მირითადი ფუნქცია - სისხლის ცირკულაციის უსრუნველყოფა.

სამედიცინო პრაქტიკაში მიღებულია ტერმინი „ტცირე გადმოდენის სინდრომი“, რომელიც გამოხატავს გულიდან სისხლის გადმოდენის მეტნაკლებად მწვავე დაქვეითებას. აღნიშული მდგომარეობა ყველა სახის შოკის უპირველესი ნიშანი და მახასიათებელია. გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარობა, რომელიც განპირობებულია მცირე გადმოდენის სინდრომით განპირობებულია 4 მიზეზით:

- მიოკარდიუმის კუმშვადი ფუნქციის სწრაფი გაუარესებით;
- ცირკულაციაში არსებული სისხლის მოცულობის სწრაფი შემცირებით;
- სისხლძარღვთა ტონუსის სწრაფი დაქვეითებით;
- კომბინირებული (შერწყმული) მიზეზებით.

გარეგნულად სისხლის მიმოქცევის მწვავე უკმარობა ვლინდება საწყისი ტაქიკარდიით (პულსის გახშირება), რომელიც თანდათანობით

გადადის ბრადიკარდიაში (პულსის გაიშვიათება), არტერიული წნევის დაქვეითებით, კანის საფარველის მნიშვნელოვანი გაფერმკრთალებით (ციანოზი), პირველადად პერიფერიულ სისხლძარღვებზე, ხოლო შემდგომ მაგისტრალურზეც, პულსის გაქრობით და ამ პერიოდიდან გონების დაბინდვით. გულის ტამპონადის, დაჭიმული პნევმოთორაქსის და გულის კუნთის შეკვეთშის ძალის დაქვეითებისთვის დამახასიათებელია ტაქქარდია და პიპოტონია, რომელთაც თან ახლავს კისრის ვენების გადახერვა.

სისხლის მიმოქცევის შეწყვეტას (გულის ფუნქციურ განერებას) პირველივე წუთის განმავლობაში გააჩნია კლინიკური ნიშნები, რომლებიც გლინდებიან თანამდებობით.

გულის გაჩერებიდან 10-15 წამში ვლინდება პირველადი ნიშნები:

- გონების უეცარი დაკარგვა;
- მაგისტრალურ არტერიებზე პულსის გაქრობა;
- კლონურ-ტონური კრუნხევები.

ამ ნიშნების შემდგომ 20-60 წამში ვითარდება მეორადი ნიშნები:

- გუგები ფართოვდება და იგარგება ფოტორეაქციები. გამონაკლიის შემთხვევებია ფოსფორორგანული ნივთიერებებით მოწამელა და ძლიერი ნარკოტიკული ინტოქსიკაცია, რომელთა დროსაც გუგები ძლიერ დავიწროვებულია.
- აგონიური სუნთქვის განვითარება ან სუნთქვის სრული შეწყვეტა.
- კანის და ლორწოვანი გარსების ფერის სწრაფი ცვლილება (ციანოზი) მონაცრისისგრო - მიწისფერისკენ და ყველაზე აღრე ეს ვლინდება ცხვირ-ტუბის სამკუთხევდში.
- მუსკულატურის რელაქსაცია და სფინქტერთა ტონუსის დაქვითება, რასაც უხშირესად თან ახლავს უნებლივ შარდის გამოყოფა და დეფეკაცია.

აღნიშნული ნიშნების არსებობა კლინიკური სიკვდილის უტყუარი დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა, მაგრამ საგმარისია დაფიქსირდეს საძილე არტერიაზე პულსის არარსებობა, ფოტორეაქციის ჩაქრობა და სუნთქვის დათორგუნვა, რომ დანარჩენი ნიშნების გარეშეც დასაწყიბია (და რაც შეიძლება სწრაფად) რეანიმაციული დონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ გულის გაჩერება და სუნთქვის არ არსებობა, დაჭრილის (დაზიანებულის) უგონო მდგრმარეობა, ბოლომდე არ ნიშანავს, რომ დადგა არაშექცვადი ანუ ბიოლოგიური სიკვდილი. აღნიშნულ მდგრმარეობაში ჯერ კიდევ (5-8 წთ-ის განმავლობაში) **არსებობს თკორიცელი შანსი კონკრეტული ორგანიზმის გადარჩენისა, სანამ ის იმყოფება კლინიკური სიკვდილის ფაზაში.**

შერადდება უნდა მიეკეს ერთ გარემოებას, რომ გულ-ფილტვის რეანიმაცია შესაძლებელია უგრო მოგვიანებითაც, მაგრამ მოგვიანებითი გაცოცხლება, მიზანშექმნებითია ე.წ. „სოციალური სიკვდილის“ გამო, (აღნიშნულ დროში იდუპებიან თავის ტვინის ქერქის ნეიროციტების უმრავლესობა). მიუხედავად იმისა, ადდგა თუ არა გულის, სასუნთქი სისტემის და სხვა ორგანოთა სისტემების ფუნქციონირების ფიზიოლოგურ ნორმასთან მიახლოებული პარამეტრები, თუ არ იქნა ადგენილი ცენტრალური ნერვული სისტემის ძირითადი ფუნქციები, ორგანიზმი ვერ ჩაითვლება გაცოცხლებულად.

რაც არ უნდა კარგად იყოს აწყობილი და უზრუნველყოფილი შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახური, კლინიკურ სიკვდილში მყოფ დაჭრილთან (დაზარალებულთან) ექიმის გამოძახება და მიყვანა, მინიჭებულ 10-15 წუთის მაინც მოითხოვს. ამ დროს გასვლის შემდეგ, კი ორგანიზმის გაცოცხლებას აზრი ეკარგება. აქედან გამომდინარე გაცოცხლებისთვის საჭირო დონისძიებათა კომპლექსი (რეანიმაცია) უნდა

ჩაატაროს (ან დაიწყოს მაინც) ქლინიკური სიკვდილის ფაზაში მყოფ ორგანიზმთან უკეთებელ ახლოს მყოფმა პიროვნებამ, მთე უმეტეს, რომ რეანიმაციის დაწყების პირველადი ღონისძიებები არ მოითხოვს განსაკუთრებულ სამედიცინო კვალიფიკაციას.

ორგანიზმის გაცოცხლება წარმოდგენილია 3 ფაზად, რომელთაგან თითოეული ცალკევადაც თავის თავში 3 ეტაპს (ანუ ღონისძიებათა გარევულ თანამიმდევრობას და მოცულობას) შეიცავს, ე.ი. ორგანიზმის გაცოცხლება 9 ეტაპს და თითოეულ ეტაპზე კონკრეტული ღონისძიებების ჩატარებას გულისხმობს:

I ფაზა - ექსტრემალური ოქსიგენაციის ფაზა - ორგანიზმის სოცოცხლის შენარჩუნებისაკენ მიმართული ძირითადი ღონისძიებები:

1. სასუნთქი გზების გამტარუნარიანობის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში აღდგენა;

2. დაზიანებულის ფილტვების ოქსიგენაცია და საჭიროების შემთხვევაში - ხელოვნური სუნთქვა;

3. მაგისტრალურ სისხლარღვებზე პულსის გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექცია, გულის მასაჟით და სისხლდენის შეჩერების საშუალებით.

II ფაზა - დამოუკიდებელი სისხლის მიმოქცევის აღდგენის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის სტაბილიზაციის ფაზა - სპონტანური სისხლის მძმობელის, გულ-ფილტვის სისტემის (ნორმასთან მიახლოებული პარამეტრებში) სტაბილიზაციის მიღწევის და სისხლით უანგბადის ტრანსპორტირების აღდგენა:

4. ფარმაკოლოგიური საშუალებების შეყვანა და სინარების ინტრავენური ინფუზია;

5. ელექტროკარდიოსკოპია (ელექტროკარდიოგრაფია);

6. ელექტროდეფიბრილაცია (კარდიოვერსია).

III ფაზა - ტეინის რეანიმაციისა და პოსტრეანიმაციული ინტენსიური თერაპიის ფაზა - გახანგრძლივებული ღონისძიებები, ტეინის დამაქმაციულებელი ოქსიგენაციის ფონზე, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოების და ორგანოთა სისტემების ფუნქციონირების აღდგენა-შენარჩუნების მიზნით:

7. გულის გაჩერების მიზეზის დადგენა და მისი კორექცია; ორგანიზმის გადარჩენის პერსპექტივის შეფასება;

8. ტეინის ნორმასთან მიახლოებულად კომპლექსი, სხვადასხვა მეოთოდა და მედიკამენტთა გამოყენებით;

9. პოსტრეანიმაციული პერიოდის (პოსტრეანიმაციული დაგადების) კომპლექსური ინტენსიური მკურნალობა და პოლიორგანული უქმარობის პროცესების მიზნით;

წარმოდგენილი სქემის შესაბამისად, პრეპოსიტალურ დონეზე შესაძლებელია ჩატარდეს 6-7 ეტაპი (სამედიცინო აღჭურვის და პერსონალის კვალიფიკაციის მიხედვით), ხოლო აუცილებელია მინიმუმ 4 ეტაპის სრული მოცულობით განხორციელება (სამედიცინო აღჭურვის და პერსონალის კვალიფიკაციის გაუთვალისწინებლად).

სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის ქორექცია საჭიროა ჩატარდეს გამომწვევი მიზეზის და გამოხატული დარღვევების გათვალისწინებით, მაგრამ აუცილებლად დაცული უნდა იქნეს გარკვეული თანმიმდევრობა და მუშაობის უნიფიცირებული წესები.

ამოცანები უნდა გადაიჭრას შემდგომი თანამიმდევრობით:

1. სისხლდენის შეჩერება

- ზეწოლით;
- ლახტით;
- დამწოლი ნახვევით;
- ლიგირებით.

2. გრავიტაციული მეოთოდი და პნევმატური კოსტიუმი

3. გულის მასაჟი

4. პერორალურად სითხით დატვირთვა

5. ინტრამუსკულარულად მედიკაზენტების შეყვანა

6. ინტრავენური ინფუზით მედიკამენტური კორექციით

სისხლდენის შეჩერება პრეცოსპიტალურ პირობებში არ გულისხმობს დაზიანებული სისხლძარღვის აღდგენა-პლასტიკის ჩატარებას და შემოფარგლება მარტივი მეთოდებით.

მაგისტრალურ სისხლძარღვები ზეწოლა ყველაზე იოლი, დამატებულფილებელი ეფექტის, მაგრამ ძალზე ხანძოელე მანიპულაციაა. იგი ემსახურება მხოლოდ დროის მოგებას - შედარებით სრულყოფილი ღონისძიების ჩატარებამდე. ეფექტი ემყარება დაზიანებული სისხლძარღვის მისტერიას მეზობელ ძვალზე.

დამწოლი ნახვევის დადება შესაძლებელია სპეციალური ინდივიდუალური შესახვევი პაკეტის გამოყენებით ან მის გარეშეც. პაკეტის ბამბა-ბინტოვანი (სქელი) უბანი კდება ჭრილობაზე და დარჩენილი ორმხრივი ბანდით უნდა გაკეთდეს მაქსიმალურად მჭიდრო და დამწოლი ნახვევი. პაკეტის არ არსებობის პირობებში ერთი ბინტი (კარგად დაკეცილი) კდება ჭრილობას, ხოლო მეორე ბინტით კეთდება მაქსიმალურად მჭიდრო დამწოლი ნახვევი. უკიდურეს შემთხვევებში დაშვებულია ნებისმიერი მასალის გამოყენება.

სწორად დადებული დამწოლი ნახვევი უზრუნველყოფს ყველა ტიპის გარეგანი ვენური სისხლდენის (მიუხედავად ვენის კალიბრისა) და წვრილი და საშუალო ზომის არტერიებიდან სისხლდაპარგვის მნიშვნელოვან შემცირებას.

კიდურებზე დადებული დამწოლი ნახვევის გასწრივ უნდა იგრძნობოდეს სუსტი არტერიული პულსაცია. კისერზე დამწოლი ნახვევის დადებისას ჯანსაღ მხარეზე უნდა ჩავაყოლოთ რაიმე მქარი საგანი (უკიდურესად დაჭრილის მაღლა აწეული და მოხრილი ხელი) რათა თავიდან აფიცილოთ ჯანსაღ მხარეზე საბილე არტერიის და ვენის გადაკეტვა, აქედან გამომდინარე გამოუსწორებული შედეგებით.

ლახტის დადება უკანასკნელი ათწლეულის პერიოდში იხმარება, როგორც უკიდურესი და განსაკუთრებული საძუალება მასიური არტერიული სისხლდენებისას კიდურთა მოგლეჯის შემთხვევაში. ლახტის დადებას გააჩნია გარკვეული წესები.

- ლახტის ეფექტურობის კრიტერიუმია სისხლდენის სრული შეწყვეტა; ლახტიდან პერიფერიისკენ პულსაცია გამჭრალია, კიდური ფერშერთალია და დაჭვებითებულია ტკიფილის შეგრძება;

- მიესაწინადმდებო კოსტიუმით, არტაშნით ან რამე გამოსადეგი საშუალებით, მიღწეულ უნდა იქნეს დაზიანებული ნაწილის იმობილიზაცია;

- უშუალოდ ლახტზე ან ტანსაცმელზე უნდა დამაგრდეს კაშპაშა ფერის ბარათი, სადაც აღნიშნული იქნება ლახტის დადების თარიღი, საათი

და წუთი. თუ დაზიანებული გონიერი ეს ინფორმაცია დაზუსტებით უნდა იცოდეს პირადად.

- ლაბტი ედება 1-1.5 საათით ზამთარში და მაქსიმუმ 2 საათით - ზაფხულში. ანინშეული პერიოდის გავლის შემდგომ აუცილებელია ლაბტის მოშორება. თუ ამის საშუალება (სისხლდენის საბოლოო შეჩერების) არ არის, ტრანსპორტირების პროცესში ის უნდა გაისხენეს ყოველ 45წთ-სათ-ში და თუ დამწოლი ნახევრით ან სხვა საშუალებით სისხლდენა ვერ ჩერდება, კვლავ - განმეორებით ედება ლაბტი, მხოლოდ და მხოლოდ 12-15 წუთის გასხვის შემდეგ, ოდონდ არა იგივე აღგილზე, არამედ თუნდაც 2ხმ-ით გვერდზე.

ლიგიორება - დაზიანებული სისხლძარღვის გადაპეტვა დროებითი ნაკერის დაგებით ან ძაფით გადაკვანძებით - შესაძლებელია ჩატარდეს მანისულაციის ჩამტარებლის კვალიფიკაციის გაოვალისწინებით. ჭრილობაში დაზიანებული სისხლძარღვის ვიზუალიზაციის შემთხვევაში შეიძლება სისხლძარღვზე დადგებული იქნას დამტერი (რაც სავსებით უზრუნველყოფს სისხლდენის შეჩერებას) და შემდგომ შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტმა უნდა მოახდინოს ლიგატურის დადება. დასაშვები მეთოდია სისხლძარღვის გადაკვანძვაც, თუმცა ამ უკანასკნელს ძალზე იშვიათად მიმართავენ.

გრავიტაციული მეთოდი - დახრილი პოზა - დროებითი მეთოდია, რომელიც ემსახურება სისხლის მიმოქცევის ცენტრალიზაციას. დაჭრილს მაღლა უნდა ავუწიოთ ფქები და დაბლა დავუწიოთ თავი, უმჯობესია საკაცე განვათავსოთ 30-35 გრადუსი დახრის კუთხით, ხოლო ფქები 45 გრადუსზე მაღლა. ამ დროს ქვედა კიდეულების სისხლძარღვებში არ შებული სისხლი, რომელიც მთლიანი სისხლის 15-20%-ია, გადანაცვლდება პერიფერიიდან ცენტრისკენ (უმნიშვნელოვანები სახიცოცხლო ოგანოებისკენ). ორგანიზმის ასეთი პოზა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევს გულსა და თავის ტიპში, მაგრამ არ არის დაკარგული სისხლის შევსების ან ჩანაცვლების მიმართულების სამურნალო მეთოდი. „ტრენდელებურგის“ პოზიციის“ მიცემა კატეგორიულად დაუშვებელია პოლიტრავმული და ნაღმფეთქებადი დაზიანებებისას, ასევე სხვა ისეთი მდგომარეობისას, როცა სავარაუდო ქალა შიდა წნევის მომატება. სერიოზული პიოვოლების (ცირკულირებადი სითხის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების) პირობებში, ეს მეთოდი მინიმალურ ეფექტს იძლევა, მაგრამ გამოყენება მაინც მიზანშეწონილია.

პნევმატური კოსტიუმი მოწოდებულია სხეულის ქვედა ნახევრის და კიდეულების სატრანსპორტო იმობილიზაციისათვის. იგი ცნობილია „არმიული შოქსაწინააღმდეგო კოსტიუმის“ სახელწოდებითაც. მუშა ეფექტი ემყარება კოსტიუმის გაბერვის შედეგად პაერის მაღალი წნევით ზეწოლას, რითაც ხდება იმობილიზაცია და სისხლდენის შეჩერება ზედაპირული და წერილი ვენების შევიწოვება-ჩაქერების ხარჯზე. ამ მეთოდს აქვს გარკვეული დადგებითი და უარყოფითი მომენტები.

უარყოფითი მოქნებებია - არ იზრდება გულის სისტოლური მოცულობა, არტერიების სანათური პრაქტიკულად არ იცვლება (კ. არ გამოდგება არტერიული სისხლდენის გასახერებლად), არ კლინდება დაჭრილის (დაზიანებულის) ზოგადი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

დადგბითი მხარეებია - მოტეხილობათა და ტრაგზულ დაზიანებათა კარგი იმობილიზაცია და ფიქსაცია, რასაც თან იხლავს ტკიფოლის სინდრომის მნიშვნელოვანი შემცირება, პერიფერიულ სისხლძარღვებზე ზეწოლის გამო (იზრდება რა პერიფერიული წინააღმდეგობა) მატულობს არტერიული წნევა, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს კორონარულ და თავის ტკინის სისხლმომარაგებას.

გულის არაპირდაპირი მასაჟი საკმარისად ეფექტური და მარტივი მეთოდია, გულის გაჩერების მიზეზთა მიუხედავად. მართალია ფიბრილაციის პირობებში გულის არაპირდაპირი მასაჟი არ არის ეფექტური (გულის ფუნქციის ადგენის თვალსაზრისით), მაგრამ უზრუნველყოფს თავის ტკინის მინიმალურ სისხლმომარაგებას, რის გამოც ტკინის ფუნქციები ნაკლებად ზიანდება, აქედან გამომდინარე გულის არაპირდაპირი მასაჟი ჩატარებული უნდა იქნას გულის გაჩერების ჰკელა შემთხვევაში. გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარება აუცილებელია ყოველგვარ პირობებში და ტერმინალური მდგომარეობის ჰკელა სტადიაში.

ეფექტი ემყარება მკერდის ძვალსა და ხერხემალს შორის გულის რიტმულ „მოჭყლებებას“, რის გამოც ხდება სისხლის გადადევნია დიდი და მცირე წრეთა მსხვილ სისხლძარღვებში, რაც თავის მხრივ ნიშანებს სისხლის მიმოქცევის ხელოვნურ შენარჩუნებას და ამავდროულად სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ორგანოების ფუნქციის შენახვას.

გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩასატარებლად დაზიანებული წევს პორიზონტაზე დაგულადმა მყარ ზედაპირზე, შემსრულებელი მუხლებზე დაგება გულმკერდთან გვერდზე (უმჯობესია მარცხნიდან). ორივე ხელის მტევანს ერთიმეტორებზე ათავსებს გულმკერდის ძვალზე, ოდნავ მარცხნივ, ახორციელებს რიგმულ ზეწოლებს ბიძგების სახით, წუთში მინიმუმ 80-90-ჯერ მაინც. ბიძგის მიმართულებაა გარედან-შიგნით ხერხემლისკენ. ყოველი ბიძგის შემდეგ მანიპულატორის ხელის მტევნები არ უნდა აწვებოდეს მკერდის ძვალს, რათა გულს სისხლით ავსების საშუალება მიეცეს. სასურველია მასაჟი ჩატარდეს გაზიტული ხელებით (იდაეკის სახსარში მოხრის გარეშე). ამ დროს გამოყენებულია არა მხოლოდ ხელის ღონება, არამედ ჩამტარებლის ტორსის წონაც. ეს ორმაგ ეფექტს იძლევა-უმჯობესდება მასაჟის სარისხი და იზოგება მანიპულატორის ენერგია, რაც მასაჟის სანგრძლივად ჩატარების საშუალებას იძლევა. სწორად და ეფექტურად ჩატარებული მასაჟი სისხლის ცირკულაციის 30%-მდე შენარჩუნების საშუალებას იძლევა, ამიტომაც დაუშვებელია მასაჟის შეწყვეტა რეანიმაციული ღონისძიებების დამთავრებამდე.

შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, გულის გაჩერებას თან ერთვის აპორე, ან სხვა ტიპის სუნთქვის მწვავე პროგრესირებადი უკმარობა. ასეთ შემთხვევებში საჭიროა გულის არაპირდაპირი მასაჟი შეწყვილებული იქნეს ხელოვნურ სუნთქვასთან. ხელოვნური სუნთქვა მიზანშეწონილია ჩატაროს სხვა პიროვნებაზე და ყოველ 8-10 ბიძგს უნდა მოჰყვეს ჩასუნთქვა. თუ მანიპულაციის ჩამტარებელი მარტო, მაშინ ის თავის თავზე იღებს „პირით-პირში“ ან „პირით-ცხვირში“ მეთოდის გულის არაპირდაპირ მასაჟთან კომბინაციურ შერწყმას, ისე რომ ყოველ 12-14 ბიძგს მოჰყვეს 1 ჩასუნთქვა.

10-12 წლამდე ბაგშვებში გულის არაპირდაპირი მასაჟი უნდა ჩატარდეს ერთი ხელით. ძუძუთა ასაგის შემთხვევაში ბიძგების სიშირე უნდა გაიზარდოს მინიმუმ 120-მდე.

მასაჟის სწორად ჩატარების შემთხვევაში, ეფექტურობაზე მიუთითებს:

- პულის გამოჩენა მსხვილ სისხლძარღვებზე (ზოგჯერ სხივის არტერიაზე);

- გუგბის შევიწროვება;

- ციანოზის შემცირება;

- არტერიული წნევის გამოჩენა 50-60 მმ.ვწყ.სვ. ფარგლებში, რასაც თან ახლავს პერიფერიაზე ჰყლის აღდგნა.

უხშირესად ეფექტურ მასაჟს (სელოვნური სუნთქვით ან მის გარეშე) გულის მუშაობის სპონტანური აღდგენა მოჰყვება ხოლმე, თუ არ არის უშუალოდ გულის მნიშვნელოვანი დაზიანება ან ცირკულირებადი სისხლის დიდი დაფიციტი.

გულის პირდაპირი (ლია) მასაჟი გამოიყენება თუ

- გულმკერდის ყაფაზი დიაა;

- გულის ტამპონადაა ჩამოყალიბებული;

- გულმკერდის ყაფაზი რიგიდულია (ვერ ხერხდება არაპირდაპირ მასაჟის წარმოება);

- გულმკერდზე და მუცელის დრუუე თევრაციების მიმდინარეობისას.

ეფექტი დამტკარებულია უშუალოდ გულზე ერთი ან ორივე ხელით რიტმულ მოჭერაზე.

გულის პირდაპირი მასაჟი ტექნიკურად რთულად ჩასატარებელია, მოითხოვს მნიშვნელოვან კვალიფიკაციას.

გულის პირდაპირი მასაჟი პრეპრესიტაციურ სფეროში გამოიყენება უკიდურეს შემთხვევებში და ისიც მხოლოდ და მხოლოდ საოპერაციოს პირობებში ან თუ ტრავმის ხასიათიდან გამომდინარე, გულმკერდი დიაა და გულთან მიწვდომა არ საჭიროებს რაიმე დამატებით ჩარევას და მანისულაციას.

ჭარბი რაოდენობით სითხის პერორალურად მიწოდება
დაჭრილისთვის, ცირკულაციაში არსებული სითხის მოცულობის შევსების მიზნით განხორციელებული ღონისძიებაა, თუ რასაკვირველია ჭრილობის ან დაზიანების ხასიათი ამის საშუალებას იძლევა. პერორალურად (ბუქნებრივი გზით) მიღებული სითხე აღდგენს როგორც ინტერსტიციული სითხის მოცულობას, ასევე სისხლძარღვთა სისტემაში არსებული სითხის დაფიციტს. რაღა თქმა უნდა სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის შემთხვევაში, სისხლის ჩანაცვლება დაალერელი სითხეებით შეუძლებელია.

ჭარბი რაოდენობით სითხის მიწოდება არ უნდა განხორციელდეს ბრძად და საჭირო გარკვეული გათვლა, რაც რა თქმა უნდა პრეპრესიტაციურ ღონებზე ვერ იქნება სრულყოფილად ზუსტი. დაჭრილს (დაზიანებულს) სხეულის მასის შესაბამისდ უნდა მიეწოდოს სითხის გარკვეული რაოდენობა - კერძოდ 1კგ მასაზე 50-55 მლ სითხე. ე.ი. თუ დაჭრილი იწონის დაახლოებით 70 კგ-ს, მან 1.5 - 2 სითხის განამავლობაში უნდა დალიოს მინიმუმ 3.5 ლიტრი სითხე. ასევე მნიშვნელოვანია მიწოდებული სითხის თვისობრივი მახასიათებლები. საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია ცხელი და კოფეინის შემცველი ტპილი სითხის მიწოდება - ჩა, ხენადი ფაფა, რომლებიც სავალე სამზარეულოს პრაქტიკულად ყოველთვის გააჩნია, ასევე გათვალისწინებულია ჯარისგაცის ყოველდღიურ საკედე რაციონში. შემდგომ ეტაპზე მიწოდებული უნდა იქნეს სხვადასხვა ხილის წვენი ან კომპოტი, ბოლოს კი, აცილების თავიდან აცილების და კორექციის მიზნით, ე.წ. ხოდიანი სითხეები (ბორჯომი, ნაბეღლავი და სხვა მინერალური წყლები). სტანდარტიზაციისთვის მისაღებია თითოეული სახის სითხის თითო ლიტრის მიწოდება. ამ მიმართულებით შეზღუდვის და

დეფიციტის პირობებში, უკიდურეს ვარიანტად დასაშვებია უბრალო სასმელი წყლის გამოყენებაც.

ინტრამუსკულარული	გზით	მედიკამენტთა	შეკვანა
გულსისხლძარღვთა სისტემის ტონუსის შენარჩუნებისკენ მიზნმიმართული დროებითი დონისხმიერა. გამოყენება დროის მოგების მიზნით ეტიოტროპული მკურნალების დაწყებამდე და მის საწყის ფაზაში.			
ერთადერთ გამონაცლის წარმოადგენს სისხლდენის ქაჟირების მიზნით გამოყენებული პრეპარატების შეკვანა - დიცინონი (ეტაზილატი), ვიკასოლი.			

ინტრამუსკულარული გზით მედიკამენტთა შეკვანას მიმართავენ, (უმთავრესი სასიცოცხლო ორგანოებისთვის სისხლმომარაგების შენარჩუნების მიზნით, ოუ არტერიული წნევა დაქვეითდება 80 მმ.მწ.სვ-ზე დაბლა. გამოყენება კ.წ. ვაზოკონსტრიქტორები და პორტონული პრეპარატები. პირველად მეზატონი, და დოპამინი, უკიდურესად კი ადრენალინი; პარალელურად კი პრედნიზოლონი ან დექსამეტაზონი. ასევე დასაშვებია დროის მოგების მიზნით და სასიცოცხლო ფუნქციათა შენარჩუნებისთვის გამოყენებული იქნეს - ქაფური, სულფოკამფოკაინი, კოფეინი, კოფეინი.

თანამედროვე შეხედულებით, **სისხლის მცირე დანაკარგი 10-12% მოცულობით**, არ საჭიროებს არანაირ კორექციას. **ზომიერი სისხლდაკარგვის** შემთხვევაში (ცირკულაციაში არსებული სისხლის არაუმეტებ 20%-ისა) საჭიროა დაჭირილი პერიოდურად დავტვირთოთ სითხეებით (ჭრილობათი ხასიათის გათვალისწინებით) და ოუ ეს შეუძლებელია, მათიც მთხუამწონილია ხსნარების ინტრავენური გადასხმა. ასეთ შემთხვევებისთვის გამოგება კრისტალინულური ხსნარები (ფიზიოლოგიური, რინგერი, გლუკოზის იზოტონური ხსნარი და სხვა). **მნიშვნელოვანი სისხლდაკარგვის** პირობებში, როცა ცირკულირებადი სისხლის მოცულობის 25-30%-იანი დანაკარგია, საჭიროა კ.წ. „სისხლის შემცვლელების“ გადასხმა (კოლოიდური და მაღალმოლექულური ხსნარები) პერიოდინამიკის მოწესრიგების მიზნით. პარალელურად, ინტერსტიციული სივრცის სითხის შესავსებად, კვლავინდებურად გამოყენებული უნდა იქნეს კრისტალინიდებიც. **მიმმებ სისხლდაკარგვა** გულისხმის ცირკულირებადი სისხლის მოცულობის 30%-ზე მეტად შემცირებას, რაც ორგანიზმისთვის მნიშვნელოვანი სტრესია და ხშირ შემთხვევებში კომპენსაციონული მექანიზმები საერთოდ ვერ ავლენენ ეფექტს. ასეთ პირობებში საჭიროა პერიოდინამიკის მოწესრიგებელი ინფუზური თერაპიის პარალელურად სისხლის ჟანგბადის მატრანსპორტირებელი ფუნქციის აღდგენა, ანუ ერიოთროციტული მასის ტრანსფუზია (სათანადო წესების და ინსტრუქციების უცილობელი დაცვით). ამ დონისხმიებების ჩატარება პრეპოსპიტალურ დონეზე არამცოუ როგორი, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელია. 40%-ზე მეტი სისხლის დანაკარგი ფასდება როგორც კრიტიკული სისხლდაკარგვა და ასეთ შემთხვევებში საჭიროა დროის მცირე მონაკვეთში აღდგენილი იქნეს სისხლის ჟანგბადის სატრანსპორტო ფუნქცია, შეივსოს ცილოვანი დეფიციტი (გამოწვეული პლაზმის ცილების დაკარგვით) და ბოლოს აღდგეს ქსოვილოვანი (ინტერსტიციული) სითხის დეფიციტი. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს თანამოსახელე ჯგუფისა და რეზუს ფაქტორის ერიოთროციტული მასა და გაყიდული ან მშრალი პლაზმა, სხვა ხსნარების (ზემოთჩამოთვლითა) პარალელურად.

ცირკულირებადი სისხლის (სითხის) მოცულობის ადგენისას ინტრავენური ინფუზიების ჩატარებისას რაციონალურად ითვლება გადასხმული კრისტალოიდების და კოლოიდების ონაფარდობა 3:1.

სისხლდაკარგვის პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო დაკარგული სისხლის მოცულობა, არამედ არანაკლებ როდს ასრულებს სისხლდაკარგვის დრო. თუ მწვავე სისხლდაკარგვის 40% სასიკედილოა, გახანგრძლივებული სისხლდაკარგვისას ორგანიზმი ცოცხალი რჩება 50-55%-ის დაკარგვის შემთხვევაში.

დაკარგული სისხლის რაოდენობის შესაფასებლად, პრეცოსპიტალურ დონეზე (საბაც ნაკლებადა შესაძლებელი სხევადასხევა გამოკლებების ჩატარება) უნდა დავვ ყრდნოთ კლინიკური გამოვლინებებს.

W.Saunders 1982

კლასი	კლინიკური სიმპტომები	დაკარგული მოცულობა	სისხლის %-ობით
I	ტაქიკარდია	< 15	
II	ორთოსტატული ჰიპოტონია	20 - 25	
III	არტერიული ჰიპოტენზია, ოლიგურია	30 - 40	
IV	კოლაფსი, ცნობიერების დათრგუნვა, პოლიორგაზული უქმარობა	> 45	

I კლასის სისხლდაკარგვის დროს ვლინდება ზომიერი ტაქიკარდია. კორექცია საჭირო არ არის.

II კლასის სისხლდაკარგვის დროს ვლინდება კარგად ფორმირებული ტაქიკარდია. დაჭრილი დაწოლილ მდგომარეობაში ინარჩუნებს ნორმალურ არტერიულ წნევას, მაგრამ ვერტიკალურ პოზაში ვლინდება არტერიული წნევის დაჭვითება, ზომიერი ციანზი და თავბრუსხევევა (ორთოსტატული კოლაფსის ფენომენი). კორეგირებისთვის შესაძლებელია სითხით პერიადური დატენირთვა.

III კლასის სისხლდაკარგვის დროს ვლინდება არტერიული წნევის დაჭვითება ჰიონიზმურ მდგომარეობაშიც. ტაქიკარდია ძლიერად გამოხატვული. მცირდება შარდის გამოყოფა. ციანზი შეკვეთირია, სუნთქვა გახსინდებული. ამ დროს ორთოსტატული სინჯის ჩატარება დაუშვებელია. კორექციისთვის გამო უქნებული უნდა იქნეს კრისტალოიდების და კოლოიდების ინტრავენური ინფუზია.

IV კლასის სისხლდაკარგვის დროს ვლინდება უკიდურესი ტაქიკარდია, მკვეთრი ციანზი, სუნთქვის მოშლა, შარდი არ გამოიყოფა. თონდათოა ვლინდება პოლიორგაზული უქმარობა. კორექციისთვის საჭიროა გადაუდებელი კომპლექსური ღონისძიებები, რომელთა სრული მოცულობით ჩატარება პრეცოსპიტალურ სფეროში პრაქტიკულად შეუძლებელია.

სსნარების ინტრავენური ინფუზია - ცირკულირებადი სისხლის მოცულობის სწრაფი გაზრდა (ადდგენა) სსნარების ინტრავენური შეყვანით - მწვავე სისხლდაკარგვის მკურნალობის არსებითად ერთადერთი სწორი და ევამტური მეთოდია.

ცენტრალური სისხლის მომქვევის აღდგენის გარეშე შეუძლებელია თავის ტენისია და გულ-ფილტვის სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უკიდურესად არასრულყოფილია კომპენსირების ბუნებრივი მექანიზმები, ამიტომაც

სწრაფად უნდა გამოვიყენოთ სსნარები, რომელთა გადასხმა შეიძლება დიდი რაოდენობით, სპეციალური მომზადების გარეშე და მაღალი სიჩქარით.

ინფუზური თერაპიის ჩასატარებლად შეიძლება ნებისმიერი ვენის გამოყენება. უფრო ხშირად სარგებლობები იდაკის, სხივის, გარეთა საუდლე ვენებით. ცენტრალური ვენების კათეტერიზაცია მოითხოვს სათანადო კვალიფიკაციას. ვენებუნებით უნდა განხორციელდეს ასეპტიკისა და ანტისეპტიკის სრული (მაქსიმალურად შესაძლებელი) დაცვით. ვენებუნებით შემდგომ კათეტერი ვენის სანათურში უნდა შევიდეს მინიჭებ 2 სმ სიღრმეზე, კორექტულად დგომის შემთხვევაში (კათეტერის (ანუ იმავედროვულად ნემსის) ბოლოში აღინიშნება სისხლის თავისუფალი დინება) ნემსი აძლევული უნდა იქნეს და კათეტერი თავისთავად დარჩება ვენაში. კათეტერი საიმედოდ უნდა დამაგრდეს (დაჭრილს ელოდება ტრანსპორტირება) და ჰერმეტულობის დაცვით მიუვრთდეს საინფუზიო სისტემა. ინფუზიის განმავლობაში საჭიროა პერიდული კონტროლი, სისხლდაცარგის, პარამეტრების კონტროლის და საინფუზიო სსნარის დაღვრის თავიდან აცილების მიზნით.

სისხლის დანაკარგის ინტრავენური ინფუზიით შევსების პროცესი მიუხედავად სისხლდაცარგის სარისხისა და სიმძიმისა, უზველოვის ოქუმა იზოტონური სსნარებით. იზოტონური სსნარის საწყისი სტანდარტული მოცულობა უნდა განისაზღვროს 1000 მლ-ით, აქედან 0,5 ლ იქნება აუცილებლად ფიზიოლოგიური სსნარი, ხოლო დარჩენილი მოცულობის (ასევე 0,5 ლ) ასათვისებლად უმჯობესია გამოყენებული იქნეს 5% გლუკოზის ან რინგერის სსნარი. ამ პერიოდში ხშირად კონტროლდება არტერიული წნევის მონაცემები და საჭიროების შემთხვევაში კორეგირდება. იზოტონური სსნარები უზრუნველყოფენ ინტერსტიციული სივრცის დაფიციტის შემცირებას.

იზოტონური სითხების გადასხმის პროცესში, არტერიული წნევის ციფრებზე და კლინიკურ სურათზე დაყრდნობით, ისაზღვრება გადასხმისთვის გამოსაყენებელ სხვა სითხეთა ხარისხს სობრივი და რაოდენობრივი მახსიათებლები. იზოტონურ სსნართა პარალელურად ან მათ შემდგომ, თუ ამის საშუალებას ზოგადი მდგომარეობა იძლევა, გამოყენებული უნდა იქნას კოლოიდური და მაღალი მოლექულური მასის სსნარები, რომელთა მეშვეობით მოხდება სისხლის კოლოიდურ-ოსმოსური წნევის, რეოლოგიის, შემადებულების და რიგი სხვა ფუნქციის შედარებითი ნორმალურიაცია. ასეთ სსნარებს მიეკუთვნება - „რეოპოლიგლუკინი“, „რეფორტანი“, „ინფუზოლ-100“, „კოლუკვენი“, „10% ჰეს“ და მათი ანალოგები. საწყის გრადაცე გადასხმეული იზოტონური და კოლოიდური სსნარების თანაფარდობა მიზანშეწონილია იყოს 1:1-თან.

სამკურნალო ეფექტი მცირე დროში მიიღწევა თუ არის საშუალება ინტრავენური ინფუზია პარალელურად ჩატარდეს იზოტონური სსნარებისა და კოლოიდების ერთდროული გამოყენებით.

დაბალი არტერიული წნევის პირობებში, ინფუზიისთვის არჩევანში უპირატესობა ენიჭება მაღალმოლებულურ სსნარებს - "პოლიგლუკინი", "10% და 20% ალბუმინი", "კოლუკვენი", "ინფუზოლ-100", „რეფორტანი“. ასეთ პირობებში თანაფარდობა იცვლება 2:1-ზე მაღალმოლებულურ სსნართა მხარეს, არტერიული წნევის დამატებულობებით მაჩვენებლების მიღწევამდე, ხოლო შემდგომი პერიოდისთვის ინფუზია გრძელდება სტანდარტული თანაფარდობით 1:3-თან იზოტონური სსნარების სასარგებლოდ.

ინფუზური თერაპიის ეფექტურობის კლინიკური პრიტერიუმებია:

1.არტერიული წნევის მომატება და ნორმალიზაცია;

2.ჰელიკის სიხშირის შემცირება და დაჭიმულობის აღდგენა.

უელაზე ობიექტური მაჩვენებელია ცენტრალური ვენური წნევის ნორმალიზაცია. თუ პრეპოსპიტალური დონეზე აღმოჩნდება პიროვნება, რომელიც ფლობს ცენტრალური ვენების კათეტერიზაციის ტექნიკას, ცენტრალური ვენური წნევის გამოკვლევა როული არ არის და ამავდროულად გვიჩვენებს სანამდე და როგორი ხარისხის სსნარები უნდა იქნეს გამოყენებული - სანამ ცენტრალური ვენური წნევა დაბალია თამამად და სწრაფად შეგვიძლია გადაგასხათ ნებისმიერი მოლეკულური მასის სსნარი, ისე რომ გულის და სისხლის მიმოქცევის მცირე წრის გადატვირთვის არ შეგვშინდეს.

გლუკოკორტიკოსტეროიდები დარტყმითი დოზებით, ინფუზური თერაპიის პარალელურად, ხშირად იხმარება, რადგან პორმონოთერაპია აუმჯობესებს უჯრედთა და ლიზოსომათა მემბრანების სტაბილურობას, მიკროცირკულაციას, მიოკარდის ფუნქციას, ამცირებს სისხლძარღვთა განვლადობასა და ფერმენტთა ჭარბ პროდუქციას. ჩამოთვლილი დაღებითი ეფექტების მისაღებად პორმონი შეყვავთ ინტრავენურად ერთჯერადად. უელაზე ხშირია პრედნიზოლონის გამოყენება 150-300 მილიგრამი დოზით, ან იხმარება 80-100 მილიგრამი დექსამეტაზონი.

ინფუზის პროცესში გლიკოზიდთა გამოყენებას აქვს გარკვეული დაღებითი ეფექტი, რამდენებაც ისინი ზრდიან მიოკარდში ენერგეტიკული ცვლის მარგი ქმნების კოეფიციენტს. გლიკოზიდი განხილებული სახით (რომელიმ იზოტონურ ხსნაში) მიეწოდება წვეთოვნად დაახლოებით 30 წთის განახლებისაში.

მედიკამენტთა ინტრაკარდიალურ შეყვანას რეანიმაციული დონისძიებების საწყისი პერიოდის არაეფექტურობის გამო, უკვე 15-20 წელია აღარ მიმართავენ, რადგან სტაბისტიკურად სარწმუნო ეფექტი ინტრავენურ შეყვანასთან შედარებით არ არსებობს.

არსებობს მოსაზრება, რომ მიოკარდიუმის ატონიის დროს ვენაში შევვანილი კარდიოტონული პრეპარატები დროულად ვერ აღწევს გულში სისხლის მიმოქცევის უეფექტობის გამო და შესაბამისად არ კლინიკულა მათგან მოსალოდნელი ეფექტი. კლინიკური სიკვდილის დროს რეანიმაციული დონისძიებების უეფექტობის ერთ-ერთი უხშირესი მიზეზია მიოკარდიუმის ატონია, რომლის გამოც გულის გარეგანი მასაჟის ჩატარებით სისხლი გულიდან სისხლძარღვებში არ გადადის. ადნოშენული მოვლენა ვითარდება პიპოქსით განერებული გულის პირობებში ან როდესაც რეანიმაციას იწყებენ არა გულის განერებისთანავე, არამედ დაგვიანებით. არსებული პიპოქსის გათვალისწინებით ალბათ მიზანშეწონილია უშედგეო რეანიმაციის შემდგომ, საბოლოო მცდელობად განხილული იყოს ინტრაკარდიალური პუნქცია და მედიკამენტთა შეყვანა.

უშეალოდ გულში შეყვავთ (როგორც წესი) ადრენალინი და ატროპინი. ადრე აუცილებელ კომპონენტად ითვლებოდა კალციუმის შეყვანაც, მაგრამ უკანასკენ წლებში კალციუმიან პრეპერატებს აღარ იყენებენ, რადგან კალციუმის იონების გულის კედელში (მიოკარდიუმში) მოხვედრა იწვევს ნეკროზს და შეუძლებელს ხდის პაციენტის ტერმინალური მდგრამარეობიდან გამოყვანას.

10 ან 20 მლ ტევადობის შპრიცში იღებენ 1 ამპულა არდენალინს და 1 ამპულა ატროპინს გაზაფხულს ფიზიოლოგიურ სსნარში. შპრიცში უნდა დარჩეს დაბალობით 1-2 მლ თავისუფალი სივრცე.

პუნქტია კეთდება 10-12 სმ სიგრძის ნემსით IV-V ნექნაშაუა სივრცეში მკერდის ძელის მარცხენა კიდესთან. ვერტიკალურობის დაცვით, ნემსი შედის 3-4 სმ სიღრმეზე. გაკუუმის შექნით (დგუშის ამოქანა) გრძელდება ნემსის წვერის სიღრმითი წინსვლა. ნემსის წვერის პარკუტის დრუში მოხვედრისას – შპრიცში შემოდის სისხლის ნაკადი. სწორედ ამ დროს გულის დრუში სწრაფად შეყავთ პრეპარატია ნარევი და სწრაფადვე გამოაქვთ ნემსი უკან. მულის პუნქტის ჩასატარებლად გათვალისწინებულია მინიმალური დრო – არაუმეტეს 1 წუთისა. რადგან მანიპულაციის ჩატარებისას გულის გარევანი მასაჭი შეწყვეტილია. მანიპულაციის ჩატარებისთანავე, (რამდენიმე წამში) კლინიდება გულის მუშაობის ავტომატიზმის აღდგენა. თუ ეფუძი იგვანებს (პროგნოზულად ცუდი სიგნალი) მანიპულაციის განმეორება შესაძლებელია 2-3 წთ-ის ინტერვალით.

გულის მუშაობის აღდგენა არ გულისხმობს სრულ გაცოცხლებას, რადგან თუ რეანიმაციული დონისხმიერები ხანგრძლივი იყო, შეიძლება საქმე გაქრინდეს თავის ტენის ქრექის დრმა და ხასიათებასთან, რასაც ეწ. „სოციალური სიკადილი“ შეიძლება მოჰყვეს. გარდა ამისა გულის გაჩერება ყოველთვის ასოცირებულია მნიშვნელოვან დარღვევებთან კველა ორგანოთა სისტემებში (განსაკუთრებით მგრძნობიარება მუავა-ტუტოვანი წონასწორობა).

გაცოცხლებული აგადმყოფი ყოველთვის კრიტიკულ მდგომარეობაშია. მისი ამ სიტუაციიდან გამოყვანა გულისხმობს კომპლექსურ მიღეობას, რომლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია სრული ინფორმაციის მიღება ორგანიზმის შესახებ, რაც თავისთვავად გულისხმობს ისეთი გამოკვლევების ჩატარებას და მონიტორინგის ისეთ დონეს, რომლის შესაძლებლობა საკეთ პირობებში არ არსებობს. გამოსავალია ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის შედარებითი სტაბილიზაციის მიღწევა და დროული გადაყვანა სტაციონარში.

საკეთ მედიცინის პრინციპი - პირკველადიდან დაწყებული, შესაძლებლობის მიხედვით პალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ორგანიზმის მდგომარეობის შესაძლებელ ფარგლებში სტაბილიზაცია და მისი დროული ეტაპირება უფრო მაღალი დონის სამედიცინო დაწყესებულებაში - ყოველთვის ძალაში რჩება.

საგელე პირობებში ანესთეზიოლოგიური და რეანიმატოლოგიური უზრუნველყოფისთვის აუცილებელი სამკურნალწამლო საშუალებათა მოქლე ცნობარი

ადრენალინი

ფორმა- იწარმოება 2 სახით:

1.ადრენალინი ჰიდროქლორიდი - *Adrenalin hydrochloridum* -(Epinefrinum, Suprarenalin, Tonogen) – 0.1% - 1.0 ამპულები

2.ადრენალინი ჰიდროტარტატი - *Adrenalin hydrotartras* - 0.18% - 1.0 ამპულები

ადრენალინი ჰიდროქლორიდი და ადრენალინი ჰიდროტარტატი პრაქტიკულად ისინი განსხვავდებიან, ამიტომაც აქტიურობის გათანაბრების პრინციპით, გამოიის სხვადასხვა პროცენტობით, რის გამოც უნიფიცირებული ამპულის ეფექტურობა უკლა შემთხვევაში (მიუხედავად დასახელებისა და პროცენტობისა) ერთნაირია.

ფარმაციოლოგიური უჯექტი- ადრენომიმეტიკი. ადაგზებს როგორც ა-, ასევე წ- ადრენორეცეპტორებს. აფართოვებს თავის ტფინის და გულის სისხლძარღვებს, იწვევს პერიფერიული სისხლძარღვების საპატის და არტერიული წნევის მომატებას (როგორც სისტოლურის ასევე დიასტოლურის), ბრონქების გაფართოებას, ნაწლავთა პერისტალტიკის დამუხრუჭებას. მნიშვნელოვნად მატულობს გულის კუნთის ჟექუმშვათა ძალა და სიხშირე. მატულობს ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა და გლუკოზის შემცველობა სისხლში.

გამოყენება- მწვავედ განვითარებული კოდაფსის დროს (არტერიული წნევის აწვევის მიზნით). გულის გამტარებელი სისტემის ფუნქციის მწვავე მოშლისას. გულის გაჩერებისას, სხვადასხვაგარი ალერგიული რეაქციების კუპირებისთვის, მწვავე პიპლიდიემიური მდგომარეობის ლიკვიდაციისა და სხვადასხვა ხარისხის შოკის დროს. ადგილობრივად გამოიყენება წვრილი სისხლძარღვებიდან სისხლდენის შეჩერებისთვის. ხშირია ადრენალინის დამატება ადგილობრივ ანესთეთიკებზე, ამ უკანასკნელთა მოქმედების გახანგრძლივების მიზნით.

გვერდითი მოვდენები- თავის ტყივილი, გულისრევა, დებინება, კუნთოთა კანკალი და თრთოლვა, ტაქიარიტმია, ოფლიანობა, კანის მნიშვნელოვანი ფერმერთალობა. გააჩნია ადგილობრივი გამადიზნიანებელი მოქმედება.

უკუჩვენება- ჰიპერტონიული დაავადება, ათეროსკლეროზი, სტენოკარდია, ჟაქრანი დიაბეტი, ჰიპერთირეუზო, გლაუკომა, ორსულობა, აარკინისნისმი, მოხუცებულობის ასაკი.

დოზირება- 0.5 ან 1 ამპულა კანქვეშ ან კუნთში. ვენაში იხმარება სიფრთხილით - მდგომარეობის სიმბიმის მიხედვით. განმეორებითი შეკვანა დასაშვებია 45წთ-1სთ-ის შემდგომ (გარდა გულის გაჩერების შემთხვევებისა). სანგრძლივი გამოყენების შემთხვევაში მიზანშეწონილია ინტრავენური ინფუზია წვეოთვნად 5% გლუკოზის, ფიზიოლოგიური სხნარის ან რინგერის ბაზაზე. გულის გაჩერების შემთხვევაში გამოიყენება, როგორც წესი

ადრენალინი 0.1%

ADRENALINI TARTRAS

საინjeციონ ხსნარის
1 მლ შეიცავს:

მოქმედი ნივთიერება:
ადრენალინი 1 მგ



ჩვენება:

- გულის უეცარი გაჩერების დროს ინოტროპული საშუალების სახით ისეთ სიტუაციებში, როდესაც სხვა მსგავსი საშუალებები არაეფექტურია;
- ანაფილაქსური შოკის და სხვა ალერგიული რეაქციების დროს;
- ბრონქული ასთმის შეტევისას ბრონქოსპაზმის მოსახსნელად;
- ადგილობრივი საანესტეზიო საშუალებების ადიუვანტის სახით, მათი შეწოვის შენელების მიზნით.



Polfa Warszawa S.A.

თარმასევტული კომპანია „გეა“. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №6.
ტელ: 238-47-66, ფაქსი: +(995 32) 295-81-54. E-mail: gea@gea.ge www.gea.ge

ადრენალინი 0.1%

ADRENALINI TARTRAS



ატროპინთან ერთად, ინტრავენურად და უშალოდ გულის ღრუში, თითო ამჟულა 3-4-ჯერ, 2-3 წთ. ინტერვალებით.

აზოტის ქვეუანგი

Nitrogenium oxydalatum (Oxydum nitrosum, N₂O, მალხენი აირი)

ფორმა- მეტალის ან მეტალოპლასტიკის ნაცრისფერი ბალონები 5 და 10 ლ მოცულობით, სადაც პრეპარატი დაჭირებილია 50 ატმ წნევით, თხევადი სახით.

ფარმაკოლოგიური ეფექტი- ანესტერიკი. არ ისხნება ლიპიდებში; სისხლის პლაზმაში სხნადობაა 23%-მდე; სწრაფად შთაინთქმება და სწრაფადცე გამოიყოფა ფილტვებისგან უცვლელი სახით;

გამოყენება- ინპალაციური ნარკოზში შესვალი და ბაზის ნარკოზების ძირითად პრეპარატად ქირურგიული ოპერაციების და მშობიარობის დროს; პოსტოპერაციული პერიოდის სედაცია; ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მწვავე თერაპიული პათოლოგიის კუპირების პროცესში, როგორც სედაციური საშუალება.

გვერდითი მოვლენები- იშვიათად ვლინდება გულისრევა და ლებნება ნარკოზის შემდეგ. აძლიერებს კაპილარულ სისხლდენას.

უეტვენება- აბსოლუტური უპტენენებანი არ გააჩნია. მნიშვნელოვანია პიორქსია და ფილტვებში გაზთა ცვლის მოშლა.

დოზირება- აუცილებელია უნგბადთან ერთად მიწოდება! ნარკოზი დაიშვება 25%-დან 80%-მდე. დოზირების საკითხები დაწერილებით განიხილება ნარკოზის აღწერაში.

ალბუმინი

Albuminum

ფორმა - იწარმოება 2 სახით;

1. პლაცენტარული

2. დონორული სისხლი

ორივე შემთხვევაში კომერციული შეფუთვა წარმოდგენილია 5% - 10% და 20% სხნარის ფლაკონებით 50 – 100 და 200 მილილიტრი მოცულობით.

ფარმაკოლოგიური ეფექტი - ინარჩუნებს სისხლის პლაზმის ოსმოსურ წნევას; მაღლა წეს არტერიულ წნევას; ხელს უწყიბს ქსოვილოვანი და უჯრედული სითხის სისხლარღის შიგნით დაბრუნებას. არის ენერგიის წყარო და პარენტერალური კეტის პრეპარატი.

გამოყენება- შეკი, დაღწერობითი დაავადება, ჰიპოალბუმინებია და პიპორიტებინებია, კახექსია.

გვერდითი მოვლენები- ტემპერატურის ზომიერი მომატება. იშვიათად – ალერგიული რეაქციები.

უეტვენება- თრომბოზები, გამოხატული ჰიპერტონია, არაკუპირებული სისხლდენა.

